*Peace begins with a smile* მშვიდობა ღიმილით იწყება



# GIFT

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

**GEORGIAN INTERNATIONAL FESTIVAL OF ARTS IN HONOUR OF MICHAIL TUMANISHVILI**

## საჩუქარი

**17.10-17.11**

2014



ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ მეთოთხმეტედ იმართება, რაც მის უდავო წარმატებაზე მეტყველებს. სასიხარულოა, რომ ფესტივალი დიდი ქართველი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის სახელს ატარებს და მისი სტუმრები და სახელმოხვეჭილი მონაწილეები კიდევ ერთხელ გაიხსენებენ დიდ რეჟისორს.

ფესტივალის საერთაშორისო წარმატებაზე ასევე მეტყველებს მასში მსოფლიოში სახელ-განთქმული თეატრებისა და ხელოვანების მონაწ-ილეობა. ქართული კულტურის საყოველთაო აღიარებაზე მიანიშნებს ისიც, რომ ფესტივალს დღესაც საერთაშორისო დირექტორატი მართავს.

დარწმუნებული ვარ, ქართული ხელოვნება, როგორც ყოველთვის, წელსაც მონწოდების სი-მაღლეზე აღმოჩნდება და კიდევ ერთხელ დაამტ-კიცებს, რომ ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფ-ლიო სახელოვნებო რუქაზე.

პრემიერ-მინისტი
**ირაკლი ღარიბაშვილი**

We have been enjoying GIFT for fourteen years already, which proves that it is a very successful initiation indeed. We are also glad that it bears the name of the outstanding Georgian stage-director Mikheil Tumanishvili, which will remind our dear guest of this great Artist once more.

The fact that the prominent theatres and Artists from all over the world are taking part in our festival supervised by the international board of directors proves that GIFT, as well as the Georgian culture in general, is popular internationally.

I am sure that this year the Georgian culture will be at its best again and confirms that it is one of the most significant in the contemporary world.

Prime Minister
**Irakli Garibashvili**



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის საფესტივალო ცხოვრებაში. ვიმედოვნებ, რომ ფესტივალი ამჯერადაც არაერთ დაუვიწყარ საღამოს აჩუქებს მაყურებელს და კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამ ფესტივალის სიცოცხლისუნარიანობას და მნიშვნელობას როგორც საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების, ასევე ქვეყნის სახელოვნებო ცხოვრების განვითარებაში.

მივესალმები და წარმატებებს ვუსურვებ ფესტივალსა და მის ყველა მონაწილეს.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის მინისტრი
**მიხეილ გიორგაძე**

Mikheil Tumanishvili International Art Festival is one of the most significant events in the cultural life of our country. I greatly hope that it will please us with many memorable evenings this year as well and prove that this festival is viable and very important for further development of the international cultural relations and cultural life of Georgia.

I wish all the best to the festival and a great success to all its participants!

Minister of Culture
and Monument Protection of Georgia
**Mikheil Giorgadze**



„მშვიდობა ღიმილით იწყება“!

დედა ტერეზას ეს სიტყვები ავირჩიეთ წელს ჩვენს დევიზად!

ფესტივალი „საჩუქარი“ 14 წელს ითვლის....

რა არის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

ხელოვნებაში სრულყოფილება.

ამიტომ დავაწესეთ მიხეილ თუმანიშვილის სახ. პრიზი „ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის.“

წელსაც ძალიან ღირსეული და დიდი შემოქმედები გვყავს ლაურეატებად.

ყოველ მათგანს დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს და მსოფლიოს ხელოვნების დღევანდელ ისტორიაში.

ხუთწლიანი იძულებითი დუმილის შემდეგ „საჩუქარი“ შარშან დაბრუნდა.

ეს იყო სამართლიანი გადაწყვეტილება, რადგან ფესტივალების გაქრობა და დახურვა ცივილიზებულ ქვეყანას არ ეკადრება.

რაც მეტია, უკეთესი!

საქართველო უნდა იქცეს ფესტივალების ქვეყნად.

ჩვენი მთავარი ექსპორტი – ხელოვნებაა! მუდამ იყო და იქნება.

უდიდესი მადლობა ჩვენს გულშემატკივრებს, კოლეგებს, ყველა იმ თეატრს, ვინც კარს გვიღებს!

განსაკუთრებული მადლობა მასპინძელი თეატრების ტექნიკურ პერსონალს, რადგან მათ გარეშე ვერ ვიარსებებდით!

გაიღიმეთ!!!!!

**ქეთი დოლიძე**

"Peace begins with a smile!" - We have chosen Mother Teresa's these beautiful words as the motto of our fourteenth GIFT this year.

What is most important for us all? - To achieve absolute perfection in Arts, of course. That is why we have established Mikhail Tumanishvili prize for the "For the Excellence in Arts". Our laureates this year are all great Artists whose contribution to the development of the contemporary Arts in Georgia and elsewhere round the world is inestimable.

After the five years of forcible pause, GIFT was restored and returned to our city. It was the just Decision, since it is very unwise for a civilized country to abolish any festivals. The more festivals there are the better!

Georgia must establish itself as a festival holding country, as Arts have always been and will be our best export.

I want to thank all our supporters, colleagues and theatres that are ready to open their doors for our festival. Special thanks should be given to their technical personnel without whom we would not be able to operate.

So, please smile and enjoy yourselves!

**Keti Dolidze**

## დირექტორთა საბჭო:

**ქეთი დოლიძე**
ფესტივალის „საჩუქარი“ სამხატვრო ხელმძღვანელი (საქართველო),

**უილიამ ბარდეტ-კუტსი**
ედინბურგის ფესტივალის ესემბლი რუმის და ლონდონის რივერსაიდ სტუდიოს სამხატვრო ხელმძღვანელი (დიდი ბრიტანეთი)

**ვანესა რედგრეივი**
მსახიობი (დიდი ბრიტანეთი),

**დიმიტრი კრიმოვი**
რეჟისორი (რუსეთი)

**ანატოლი ვასილევი**
რეჟისორი (რუსეთი)

**სტას ნამინი**
მუსიკოსი, კომპოზიტორი, რეჟისორი, პროდიუსერი (რუსეთი)

**მიხეილ მარმარინოსი**
რეჟისორი (საბერძნეთი)

**ჰილარი ვუდი**
რეჟისორი (დიდი ბრიტანეთი)

**ნენსი კოვი**
„ფესტივალ ტურს“ (აშშ)

**ნინა სუფი**
პიტერ ბრუკის საერთაშორისო ცენტრი (საფრანგეთი)

**ტერი სენდელი**
პროდიუსერი (დიდი ბრიტანეთი)

**რიჩარდ სუიბი**
„რიჩარდ სუიბ დიზაინ ინტერნეშნლ“ (აშშ)

**თელმა ჰოლტი**
პროდიუსერი (დიდი ბრიტანეთი)

**ალექსანდრა ბურატაევა**
ჟურნალისტი (რუსეთი)

## BOARD OF DIRECTORS:

**KETI DOLIDZE**
Artistic Director of the Gift Festival (Georgia)

**WILLIAM BURDETT COUTTS**
Artistic Director of Assembly Rooms at Edinburgh Fringe Festival and Riverside Studios in Hammer-Smith (UK)

**VANESSA REDGRAVE**
Actress (UK)

**DIMITRY KRYMOV**
Theatre Director (Russia)

**ANATOLY VASILIEV**
Theatre Director (Russia)

**STAS NAMIN**
Musician and Composer, Theatre Director, Producer (Russia)

**MICHAIL MARMARINOS**
Theatre Director (Greece)

**HILARY WOOD**
Director (UK)

**NANCY COVEY**
"Festival Tours" (USA)

**NINA PSOUFY**
Peter Brook's International Centre (France)

**TERRY SANDELL**
Producer (UK)

**RICHARD SUIB**
Richard Suib Design Intl (USA)

**THELMA HOLT**
Producer (UK)

**ALEXANDRA BURATAEVA**
Journalist (Russia)



ენ ბოგარტი
**Anne Bogart**

ენ ბოგარტი ამერიკის თეატრისა და ოპერის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და აღიარებული რეჟისორია. ამჟამად ის კომპანია „სიტის“ ერთ-ერთი სამხატვრო ხელმძღვანელია რომელიც 1992 წელს იაპონელ რეჟისორ ტადაში სუზუკისთან ერთად დააარსა. ბოგარტი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია და მისი გავლენა მთელ თანამედროვე თეატრში იგრძნობა – ყველა იზიარებს „სიტის“ შემუშავებულ მსახიობის ოსტატობის წვრთნის მეთოდებს და ცდილობს მიბაძოს ბოგარტისა და სუზუკის მიერ დადგმულ სრულიად ინოვაციურ, „ყამირის გამტეხ“ სპექტაკლებს. კოლუმბიის უნივერსიტეტში ბოგარტის ხელმძღვანელობით აღიზარდა ისეთი მრავალმხრივი ტალანტები, როგორებიც არიან პევოლ ლისკა, დაიენ პაულუსი, კიმ უილდი, ჯეი შიბი, დარკო ტრესნიაკი და სხვები. ბოგარტი ბევრი წიგნისა და ნარკვევის ავტორიც გახლავთ.

ენ ბოგარტმა 1974 წელს ბაკალავრიატის კურსი ბარდის კოლეჯში დაასრულა და სწავლა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ტიშის ხელოვნების სკოლაში განაგრძო, სადაც 1977 წელს მაგისტრის წოდება მოიპოვა. 1989-90 წლებში ის ტრინიტის სარეპერტუარო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობს, ხოლო 1990-92 წლებში, თეატრალური კომუნიკაციების ჯგუფის (TCG) პრეზიდენტია.

1987-1992 წლებში ბოგარტი მისი და ბრაიან ჯაჩას მიერ დაარსებული „ვაია სიეთერის“ (Via Theater) სამხატვრო ხელმძღვანელია. ეს თეატრი ნიუ-იორკში რამდენიმე ძალიან ცნობილ წარმოდგენას დგამს (ასიმილის, არავითარი პიესის, არავითარი პოეზიის და კონკიას ჩათვლით). კომპანია, აგრეთვე, აწყობს მასტერკლასებს და რეზიდენტურებს მთელ შეერთებულ შტატებში.

1980 წლიდან 1992 წლამდე ბოგარტი მაქს რეინჰარტის აკადემიაში ასწავლის, ხოლო 1993 წლიდან კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება, სადაც საასპირანტო პროგრამებს ხელმძღვანელობს.

ბოგარტმა გამოსცა მონოგრაფია „რეჟისორი ამზადებს და მერე თქვენ ახორციელებთ“ (A Director prepares, And Then, You Act), და ტინა ლანდაუსთან ერთად დაწერა „თვალსაზრისების წიგნი“ (The Viewpoints Book), რომელშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული მისი თეორიები და მიდგომები თეატრალური ხელოვნების ზრდა-განვითარებასა და ახალ მიმართულებებზე. მისი სტატიები და ნარკვევები ხშირად იბეჭდება ჰუმანას ფესტივალის – „დასრულებელი სპექტაკლებში“ (The Humana Festival – “The Complete Plays”), ჟურნალში ამერიკული თეატრი (American Theatre) და დრამატული ნამუშევრების მიმოხილვებში (Drama Reviews).

თეატრის კრიტიკოსი მელ გიუსოუ თავის ნაშრომში „ენ ბოგარტი: თვალსაზრისები“ წერს: „ბოგარტი ძალიან თანამედროვე რეჟისორია; უფრო სწორად, ის ზოგჯერ წინაც კი უსწრებს თანამედროვეობის მოცემულ წამს. ის დაუღალავად და შემოქმედებითად ეძებს თეატრალური გამოცდილების განახლების გზებსა და მეთოდებს, რათა თეატრი უფრო რელევანტური გახადოს თავისთვის და თავისი თანამოაზრეებისათვის“.

ANNE BOGART is a prolific and award-winning American theatre and opera director. She is currently one of the Artistic Directors of SITI Company, which she founded with Japanese director Tadashi Suzuki in 1992. She is a Professor at Columbia University. Bogart's influence is felt throughout the contemporary theatre: through the widespread use of SITI's training methods of Viewpoints and Suzuki, her oeuvre of groundbreaking productions, and her guidance at Columbia University of such diverse talents as Pavol Liska, Diane Paulus, Kim Weild, Jay Sheib, Darko Tresnjak and many others. In addition to her books and essays.

Bogart earned her Bachelor of Arts degree from Bard College in 1974, followed by a Master of Arts degree from New York University's Tisch School of the Arts in 1977. She served as Artistic Director of the Trinity Repertory Company for its 1989-90 season. From 1990-92 she was president of TCG (Theater Communications Group).

From 1987 - 1992 Bogart served as the Artistic Director of Via Theater. Founded by Bogart and Brian Jucha, Via Theater created a number of highly regarded productions in New York City including Assimil, No Plays, No Poetry, and Cinderella/Cendrillon. The company led workshops and residencies around the United States.

Between 1980 and 1992, Bogart taught at the Max Reinhart Academy, Since 1993 she has served as a Professor at Columbia University where she heads the Graduate Directing Program.

Bogart has written A Director Prepares, And Then, You Act and co-authored The Viewpoints Book with Tina Landau, in which she outlines her theories of and approaches to making theatre. Shorter works have appeared in The Humana Festival – The Complete Plays (1996 and 1999), American Theatre magazine and The Drama Review.

In "Anne Bogart: Viewpoints", drama critic Mel Gussow refers to Bogart as "a director of the present moment and, one might add, the prescient moment. Relentlessly she searches for imaginative ways to renew the theatrical experience, to make it more relevant for herself and those who are receiving it."



**გურანდა გაბუნია** თეატრისა და კინოს მსახიობი.
1960 წელს დაამთავრა შოთა რუსთველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (დოდო ალექსიძის ჯგუფი). საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სამგზის წლის საუკეთესო მსახიობი ქალი. ("პროვინციული ამბავი" „შიში" „მიტევების დღე").

## მარჯანიშვილის თეატრი

- ვადიმ კოროსტილევი „მარტოობის დღესასწაული", რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე
- რევაზ თაბუკაშვილი „რას იტყვის ხალხი", რეჟისორი ვარლამ ნიკოლაძე
- გრიგორ გორინი „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება", რეჟისორი. ნუგზარ გაჩავა
- რობერტ ტომა „რვა მოსიყვარულე ქალი", რეჟისორი გოგი თოდაძე
- ლალი როსება „პრემიერა", რეჟისორი მედეა კუჭუხიძე
- ფრიდრიხ დიურენმატი „რომულუს დიდი", რეჟისორი. ნუგზარ გაჩავა
- ნოდარ დუმბაძე „მე ვხედავ მზეს", რეჟისორი. გიგა ლორთქიფანიძე
- ლალი როსება „პროვინციული ამბავი", რეჟისორი.მედეა კუჭუხიძე
- მონძაემონ ჩიკამაცუ „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" , რეჟისორი.. მედეა კუჭუხიძე
- უილიამ შექსპირი „ოტელო", რეჟისორი. თემურ ჩხეიძე
- ლევ ტოლსტოი „ანა კარენინა", რეჟისორი. მედეა კუჭუხიძე
- კარლო გოცი „ლურჯი ურჩხული", რეჟისორი. მედეა კუჭუხიძე
- აფინაგენოვი, „შიში", რეჟისორი. მედეა კუჭუხიძე
- ედუარდო დე ფილიპო „ხელშეკრულება", რეჟისორი, თემურ აბაშიძე
- უილიამ შექსპირი „მეფე ლირი", რეჟისორი. დავით დოიაშვილი
- ლალი როსება „სახლის ანგელოზები", რეჟისორი. მედეა კუჭუხიძე
- უილიამ შექსპირი „ანტონიუსი და კლეოპატრა", რეჟისორი.ჰილარი ვუდი /ინგლისი/
- ევგენი შვარცი „თოვლის დედოფალი" რეჟისორი. მედეა კუჭუხიძე
- ვენედიქტ ეროფეევი „დაუსრულებელი სიზმარი", რეჟისორი.ლევან წულაძე
- ჟან მარსანი „მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია", რეჟისორი. დავით დოიაშვილი
- ჟან ანუი „ანტიგონე", რეჟისორი. თემურ ჩხეიძე
- ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი „მიტევების დღე" რეჟისორი. ქეთი დოლიძე
- ბერტოლდ ბრეხტი „სამგროშიანი ოპერა", რეჟისორი, გიზო ჟორდანია
- ჯონ მარლი „მემუარები „ სარა ბერნარი, რეჟისორი, ირაკლი გოგია

## რუსთაველის თეატრი

- სერგო კლდიაშვილი „ქარიშხალი" ირინე
- ჟან ანუი „ანტიგონე" ისმენე
- არჩილ სულაკაური „სალამურა" დედოფალი
- „ტოპაზი" შინაბერა

## რუსთავის დრამატული თეატრი

- ოტია იოსელიანი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" რეჟისორი გ. ლორთიფანიძე
- როსტანი „სირანო დე ბერჟერაკი" , რეჟისორი გ. ლორთიფანიძე
- ვადიმ კოროსტილოვი „ასი წლის შემდეგ, რეჟისორი გ. ლორთიფანიძე"

„სპექტაკლში „მემუარები" ჩვენს წინ იშლება სარა ბენარის – ქერა ლოკონებიანი, ზღვისფერ კაბასა და შავ მოსასხამში გამოწყობილი, ულამაზესი მწვანეთვალება ქალბატონის მთელი ცხოვრება. სამოცდაათს მიღწეული მსახიობი სცენაზე თუ შეიძლება ასე ითქვას „მულტიფუნქციურია" – ხან საკუთარ ცხოვრების მეგზურების – დედის – იუდიტ ბერნარდის, ხან დის – ჟანას ისტორიას გვიყვება, ხან სცენაზე მის მიერ განხორციელებული პერსონაჟებს – ფედრას, მარგარიტას, ტოსკასა და ფრუფრუს წამოგვიდგენს. გურანდა გაბუნია პოულობს იმ გამომსახველობით საშუალებებსა და ნიუანსებს, ხელის მოძრაობას თუ ჟესტიკულაციას, რიტმსა და ხმასაც კი, რაც საშუალებას აძლევს ერთდროულად იყოს ერთმანეთისგან სრულად განსხვავებული – სარას დედაც, დაც, მის მიერ სცენაზე ნათამაშები პერსონაჟები ფედრას, მარგარიტაც და სხვ. მსახიობი გურანდა გაბუნია ყველას სხვადასხვაგვარად თამაშობს: თვით სარა ბერნარი მომთხოვნია, მკაცრი, კატეგორიული, ხანდახან მზრუნველი და კეთილგანწყობილი; დედა – იუდიტ ბერნარი – გადაპრანჭული, ქარაფშუტა, პარიზული სალონების მუდმივი წევრი, ზედმეტად ემოციური, ხელების გამუდმებული და გაუზრებელი მოძრაობებით და პრანჭვა-გრეხით, ჟანა-ახალგაზრდა, ოჯახის ნებიერი, სარას გამუდმებული მეტოქე, ალკოჰოლიზმით დაავადებული, ვისი კარიერის შექმნაზეც ზრუნავდა უფროსი და. გურანდა გაბუნია უმაღლესი ფილიგრანული ტექნიკის საშუალებით ყოველი მათგანისთვის პოულობს სხვადასხვა გამომსახველობით საშუალებებს და სხვადასხვა ფერთა გამას და ჩვენს წინაშე ცოცხლდებიან იმ ადამიანთა პორტრეტები, რომელთა გარემოცვაშიც იყო ან ვისი ცხოვრებითაც იცხოვრა სცენაზე სარა ბერნარმა." გიორგი ყაჯრიშვილი



**GURANDA GABUNIA** – actress – film and theatre.
In 1960 she graduated from SHota Rustaveli state theatre institute; specialty – actress) class of Dodo Aleksidze). She is the Georgian honored actress, Kote Marjanishvili state prize-winner, three times winner of the best actress award Thrice Best Actress ("Provincial Story," "Fear," "Day of Forgiveness")
Actress of Kote Marjanishvili State Drama Theatre since 1975.



გურანდა გაბუნია
Guranda Gabunia

## PERFORMED ROLES (BRIEFLY):

- Margarita – Vadim Korostilev "Celebration of Solitude", dir. Giga Lortkipanidze
- Ismene – Jean Anouilh "Antigone" dir. Michael Tumanishvili
- Natela – Lili Ioseliani"One of Our Evenings," dir. Lili Ioseliani
- Irene – Vadim Korostilov "I believe you" dir. Medea Kuchukhidze
- Jose – Otia Ioseliani " Six Spinsters and One Man" dir. Yuri Kakulia
- Roksana – Edmond Rostand " Cyrano de Bergerac" dir. Giga Lortkipanidze
- Alice Cheremisova – Vadim Korostilov "Hundred years Later," dir. Giga Lortkipanidze
- Ada – Lali Roseba "Premiere", dir. Medea Kuchukhidze
- Julia – Friedrich Dürrenmatt "Romulus the Great," dir. Nugzar Gachava
- Nino – Lali Roseba "Provincial Story", dir. Medea Kuchukhidze
- Emilia – William Shakespeare "Othello", dir. Temur Chkheidze
- Makarova – Alexander Apinogenov "Fear", dir. Medea Kuchukhidze
- Goneril – William Shakespeare "King Lear", dir. David Doiashvili
- Tsatsa – Lali Roseba " The Angels of the House ", dir. Medea Kuchukhidze
- Cleopatra – William Shakespeare "Antony and Cleopatra" dir. Hilary Wood / England /
- Gabriela Tristan – Jean Marsan "The Audience is Prohibited to Watch This" dir. David Doiashvili
- Female – Inga Garuchava, Peter Khotianovsky "Forgiveness Day" dir. Keti Dolidze / Mono Performance /
- Peachum – Berthold Brecht "Threepenny Opera", dir. Gizo Jordania
- Nanny – Jean Anouilh "Antigone", dir. Temur Chkheidze
- John Murrell "M E M O I R" Director Irakli Gogia

## AWARDS:

Georgian Honored and Public Artist, Marjanishvili State Drama Theatre Award
On December 15, 2008 Guranda Gabunia's Star was opened at Marjanishvili Theatre
Guranda Gabunia debuted in the cinema in 1961, in the film by L. Ghoghoberidze Erti tsis kvesh

## FILMOGRAPHY:

- Rac Am Kvekhnad Siyvaruli Mephobs (TV Movie)
- 2004 Kursanty (TV Mini-Series)
- 2002 Enki-Benki
- 1999 Dzvirpaso M (TV Movie)
- 1994 Budulay, kotorogo ne zhdut
- 1992 Valsi Pechoraze
- 1987 Oromtriali
- 1984 Dges game utenebia
- 1982 Gzis dasatskisi
- 1981 Gza shinisaken
- 1979 Ekipazh (as G. Gabuniya)
- 1975 Aurzari salkhinetsi
- 1973 Mze shemodgomisa
- 1968 The Color of Pomegranates
- 1966 Londre
- 1965 Dro itsureba gantiadisas
- 1963 Tojinebi itsinian
- 1961 Erti tsis kvesh

In "Memoirs" we witness the whole life-story of the beautiful green-eyed blonde, curly-headed lady dressed in a black cloak and the sea-blue dress – Sarah Bernhardt. The seventy-year-old actress's role in the performance is, so to say, "multifunctional": at times she narrates about her lifelong companions – her mother Judith Bernhardt and her sister Jeanne, and time and again she recalls and acts her scenic characters – Phaedra, Margarita, Tosca and Froufrou. Guranda Gabunia's Sarah Bernhardt exploits the expressive means, movements, gestures, rhythm and even her cadence so that to create totally different images (that of Sarah Bernhardt's, her mother's, her sister's and her scenic characters'). As Sarah Bernhardt she is very strict, demanding, categorical and, at the same time, caring and well-meaning; as Sarah's mother she is a mincing, frivolous, emotional woman – the permanent member of the Parisian salons; as Jeanne she is a spoiled young girl, ill with alcoholism, who tries to compete with her elder sister who takes care of her younger sister and does her best to help her with her career. Using her filigree performing technique, Guranda Gabunia successfully finds the best expressive means and shades to create the portraits of all these characters that were the indivisible part of Sarah Bernhardt's private and scenic life. – Giorgi Kajrishvili



ანზორ ერქომაიშვილი
**Anzor Erkomaishvili**

**ანზორ ერქომაიშვილი** – ანსამბლ „რუსთავის“ დამაარსებელი და სამხატვროხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი; ალბერტ შვაიცერის პრემიის ლაურეატი (ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად), ასევე სტუდენტთა და ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1968 წელს). თბილისის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე – პროფესორი, ასევე ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი.

ანზორ ერქომაიშვილმა დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. 1961 წელს სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა ანსამბლი „გორდელა“, ხოლო 1968 წელს მსოფლიოში აწ უკვე სახელგანთქმული ანსამბლი „რუსთავი“, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს.

1976 წელს, ანზორ ერქომაიშვილი სათავეში ჩაუდგა ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეს“. „მართვეში“ აღზრდილი თაობები დღეს უკვე ხელმძღვანელობენ სხვადასხვა ანსამბლებს.

ერქომაიშვილი 40 წელია მუშაობს გრამოფონის ფირფიტების მოძიებასა და აღდგენაზე, მან მსოფლიოს სხვადასხვა არქივებში მოიძია და მიაკვლია 500-ზე მეტ ქართული ხალხური სიმღერის ფონოჩანაწერს 1901-30 წლების ჩათვლით, რომლებიც გამოსცა ფირფიტების დაკომპაქტ-დისკების სახით.

ანზორ ერქომაიშვილმა ათეული წლების განმავლობაში მოიარა საქართველოს ყველა რაიონი, ძველი მომღერლებისაგან ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა ქართული პოლიფონიური სიმღერების იშვიათი ნიმუშები, რომლებიც გამოსცა სანოტო კრებულების სახით. მათ შორის აღსანიშნავია: „სანოტო კრებული არტემ ერქომაიშვილის რეპერტუარიდან“. ასევე 2006 წელს ანზორ ერქომაიშვილმა გამოსცა 1901-50-იან წლებში ჩაწერილი ქართული სიმღერების კატალოგი. იმავე წელს გამოვიდა მისი ნაშრომი: „ქართული ხალხური სიმღერების უნიკალური ფონოჩანაწერები 1901-1914 წლები“.

ერქომაიშვილს გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი: „ბაბუა“, „შავი შაშვი ჩიოდა“, „ხმა უცნაური“, „მივალ გურიაში მარა“ და სხვა. იგი ბევრი საინტერესო ნაშრომისა და გამოკვლევის ავტორია.

2001-06 წლების ჩათვლით ანზორ ერქომაიშვილი გახლდათ იუნესკოს ფოლკლორის კომისიის წევრი. 2001 წლის 18 მაისს ქართული ხალხური სიმღერა იუნესკომ აღიარა „კაცობრიობის ზეპირი სიტყვიერებისა და ხელთუქმნელი საგანძურის შედევრად“.

**ANZOR ERKOMAISHVILI** – the founder and the artistic director of the ensemble “Rustavi”, is the People’s Artist of Georgia, and the winner of the Shota Rustaveli prize, Iakob Gogebashvili prize, Niko Berdzenishvili prize, Ekvtime Takaishvili prize and Zakharia Paliashvili prize. Besides, he was awarded Albert Schweitzer’s prize (with his ensemble), as well as the prize of the 6th International Youth Festival (1968). He is the Full Professor and the chairmen at the Tbilisi State Institute of Culture and the Head of the International Centre of the Georgian Folk Songs.

Anzor Erkomaishvili graduated from the Tbilisi Conservatoire. In 1961 he became a co-founder of the ensemble “Gordela”, and in 1968 he founded the now worldwide known ensemble “Rustavi”, whose choirmaster he still is. In 1976 he headed the boys’ choir “Martve”, which has already prepared a lot of musicians heading different ensembles.

Anzor Erkomaishvili had been searching for and restoring the old gramophone records for 40 years already. He found over 500 old Georgian folk songs (including years 1901-1930) in the archives round the world, and issued them in numerous records and CDs. For dozens of years he had been walking around all regions of Georgia collecting old polyphonic songs of rare quality and putting them into musical notes. Later he published them as several selections. The outstanding one among these selections is “Songs from Artem Erkomaishvili’s Repertoire”. In 2006 Anzor Erkomaishvili published the catalogue of the songs recorded between 1901-1950, and his monograph “The Unique Records of Georgian Folk Songs of 1901-1914”.

Anzor Erkomaishvili has published several more books: “Grandfather”, “The Blackbird Was Singing”, “A Strange Voice”, “I’ll go to Guria, of course” etc. he is the author of many interesting works and researches.

In 2001-2006 he was a member of the UNESCO’s folklore commission. On May 18, 2001 UNESCO acclaimed Georgian folk songs to be “The Treasure of the World’s Folklore Heritage”.



სერგეი მაკოვეცკი
Sergey Makovetsky

**სერგეი მაკოვეცკი** რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას შეასრულა პირველი როლი ა. ოსტროვსკის „ტყეში“. რამოდენიმეჯერ სცადა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება, მაგრამ არ მიიღეს (კიევის, მხატის სკოლა-სტუდიაში). ბოლოს სწავლა დაიწყო შჩუკინის სკოლა-სტუდიაში პედაგოგ ა. კაზანსკაის კლასში. 1980 წლიდან ვახტანგოვის თეატრის მსახიობია. 1982 წ. იწყება მისი კინოკარიერაც.

არის „ნიკას“ (1993 წ.), „ოქროს ვერძის“ (1994 წ.) „ოქროს არწივის“ (2013 წ.) პრემიების ლაურეატი, 1994 წელს მიენიჭა ევროპის საუკეთესო მსახიობის წოდება, ასევე არის ღირსების (2010 წ.) მოსკოვისა და კოლომენსკის წმინდა ინოკენტის მესამე ხარისხის (2010 წ.) და ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (2013 წ.) ორდენების კავალერი

## შესრულებული როლები:

- ვ. მაიაკოვსკი, „მისტერია-ბუფი“ – ნეგუსი
- ჩ. აიტმატოვი, „და საუკენეზე გრძელია დღე“ – გამცილებლი
- ვ. შატროვი, „ბრესტის ზავი“ – სიდორენკი
- მ. ბულგაკოვი, „ზოიას ბინა“ – გან-ზა-პინი
- ჰენრი ჯეიმსი. „ოსტატის გაკვეთილები“ – შოსტაკოვიჩი
- ჟ. ბ. მოლიერი, „აფიტრიონია“ – ამფიტრიონი
- „უ. შექსპირი,ოტელო“ – იაგო
- ნ. გოგოლი, „რევიზორი“ – ქალაქის თავი
- ა. ჩეხოვი, „თოლია“ – ტრიგორინი
- ა. ჩეხოვი, „ძია ვანია“ – ვოინიცკი
- ა. პუშკინი, „ევგენი ონეგინი“ – ევგენი ონეგინი

## კინოროლები:

- „ტევიე-მერძევე“ – მოტლი, რეჟისორი ს.ევლახიშვილი
- „კლიმ სამგინის ცხოვრება“ – სამგინი, რეჟისორი ვ. ტიტოვი
- „დედა“, - ჟანდარმერიის ოფიცერი – რეჟისორი გ. პანფილოვი
- „ძაღლის შვილები“ – სინუხაევი – რეჟისორი ლ. ფილატოვი
- „ოპერაცია „ახალი წელი“ – უიმედო ავადმყოფი – რეჟისორი ა. როგოჟკინი
- „12“ - მეცნიერ-ფიზიკოსი – რეჟისორი ნ. მიხალკოვი
- „ეშმაკნი“ ტელესერიალი – გამომძიებელი – რეჟისორი ვ. ხოტინენკო
- „მზით გათანგულნი “ – კაპიტანი – ნ. მიხალკოვი
- და სხვ.

ძია ვანია, რომელიც ტუმინასმა სერგეი მაკოვეკისთვის შექმნა – უცხოელი, გადამთიელია. მისი სულიერი სამყარო სულ სხვაა, ვიდრე ჩეხოვის ამ პიესის სხვა პერსონაჟების. სხვა იქ კი არაა, სადაც „ლიტვური“ განსხვავდება „რუსულისგან“, არამედ იქ სადაც ადამიანი თავის მარტოობას შეიგრძნობს და სადაც „განსხვავებულობა“ უფრო მძაფრია, ვიდრე სხვებისთვის. იმ ქვეყანაში, რომელიც თავგამოდებით ცდილობს აღიდგინოს თავისი კოლექტიური ეროვნული იდენტობა, ასეთი ტიპის გაუცხოება უფრო მძაფრად აღიქვება, ვიდრე საჭიროა. – ალიონა კარასი – კრიტიკოსი.

**SERGEY MAKOVETSKY** is the People's Artist and the Honored Art Worker of the Russian Federation. He was given his first role in Ostrovsky's "Forest" when he was still a school-boy. After several unsuccessful attempts to enroll in the Theatre Institute (in the studio of "The Moscow Artistic Academic Theatre" in Kiev) he began to study at Schukin School-Studio (in Kazanskaya's class). He has been an actor at the Vakhtangov Theatre since 1980. His film career started in 1982.

Makovetsky is the winner of the "Nika" (1993), "Golden Fleece" (1994) and "Golden Eagle" Awards . In 1994 he was awarded the title of Europe's best actor.

## THEATRE PERFORMANCES:

- Mayakovsky "Mystery-Bouffe" – Hegus
- Aitmatov – "The Day Longer than a Century" –Explorer
- Shatrov "- Treaty of Brest" – Sidorenko
- "Zoya's Flat" – Bulgakov
- Henry James "The Lessons of the Master" – Shostakovich
- Moliere "Amphitryon" – Amphitryon
- Shakespeare "Othello" – Iago
- Gogol "The Government Inspector"- gorodnichiy
- Chekhov – "The Seagull" – Trigorin,
- Chekhov – "Uncle Vanya" – Voinickiy,
- Pushkin – "Eugene Onegin" –Eugene Onegin

## MOVIES:

- "Teve- Milkman" (Directed by Evlakhishvili)
- "The Life of Klim Samgin" (Directed by Titov)
- "Mother" (directed by Panfilov)
- "Sons of Bitches" (Directed by Filatov)
- "Operation 'New Year' " – (Directed by Rogojhkin)
- "Demons" – (TV series. Directed by Khotinenko)
- "Burnt by the Sun" (Directed by N. Mikhalkov), etc.

Uncle Vanya", which Tuminas catered especially for Makovetsky, is a stranger. His spiritual world is very different from that of the other characters of the play. It is not the difference between the Lithuanian and Russian temperaments, but the difference that is very palpable, and which causes spiritual solitude. In the country trying to restore its former collective national identity, such aloofness and difference is too vivid.

Aliona Karas – Art critic.



ათენში დაბადებულმა **მიხეილ მარმარინოსმა** უმაღლესი განათლება ბიოლოგიაში, სამსახიობო ხელოვნებასა და რეჟისურაში მიიღო. 1983-84 წლებში დაარსა „დიპლუს ეროსის თეატრალურ დასი“. როგორც მსახიობმა, მარმარინოსმა „დიპლუს ეროსის თეატრის“ უამრავ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა. მან წამყვანი როლები შეასრულა კოლტესის, ევრიპიდეს, დაგერმანისა და სხვათა ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში და იმუშავა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც არიან როულა პატერაკი, იანის ჰოუვარდასი, ანტონის ანტიპასი, პლუტარჰოს კაიტაცისი, სპიროს ევანგელატოსი და სხვები. მიხეილ მარმარინოსი დიდ სცენას უკვე ცნობილი რეჟისორი უბრუნდება და ლამობს მოგვითხროს მითი იმ ადამიანზე, რომელმაც ეშმაკს მიჰყიდა სული – მარმარინოსი გოეთეს „ფაუსტის“ ლაბირინთებს სტუმრობს. ამ მიზნით ნოვატორი ბერძენი რეჟისორი სხვა ხელმისაწვდომ ტექსტებსა და მოულოდნელ სივრცეებსაც იყენებს და ცდილობს ღრმად ჩასწვდეს ადამიანური ვნებების უბნელეს კუთხე-კუნჭულებს. მისი ეს წიაღსვლა მეტად საინტერესო სპექტაკლად იქცა.

მიხეილ მარმარინოსი პირველად ეწვია ფესტივალ „საჩუქარს“ სპექტაკლით ესქილეს „აგამემნონი“, ხოლო მოგვიანებით თუმანიშვილის სახ. კინომსახიობის სცენაზე განახორციელა სამი სპექტაკლი: ჰანს მიულერის „მედეა, მასალა ...“, საკუთარი ნაწარმოები „ეროვნული ჰიმნი“ და უილიამ შექსპირის „R+J“ ბედისწერა დაბნეულია. მესამე მეხსიერება“.

- 1987: სტრინგბერგ – სტრინდბერგ (პირველი გაფრთხილება); ა. სტრინდბერგი
- 1993: ჰამლეტმაქინა; ჰ. მიულერი
- 1993 მედეა ფრაგმენტები; ევრიპიდე
- 1994: კამერა დეგლი სპოსი; გ. ველცოსი
- 1996: ფარსა კალდეუეი; ბ. სტრაუსი
- 1997: რომანტიზმი; მ. მარმარინოსი
- 1998: ჰამლეტი, გველის ნაკბენი; უ. შექსპირი
- 1998: ელექტრა; სოფოკლე
- 2000: აგამემნონი (აჩრდილთა სონატა); ესქილე (ათენი, კარაკასი, ციურიხი, თბილისი)
- 2001: მედეა მასალა; ჰ. მიულერი
- 2004: ეროვნული ჰიმნი, ერთიანობის თეორემა (თბილისი)
- 2004: რომეო + ჯულიეტა, მესამე მეხსიერება; უ. შექსპირი (ათენი)
- 2005: აგამემნონი; ესქილე (სეული)
- 2007: ვინ არის ჰ. კელერმანი და რატომ ამბობს ამ საშინელებებს ჩემზე? [ვიზიტი კაფკას ციხესიმაგრეში]; მ. მარმარინოსი
- 2007: ვკდები, როგორც ქვეყანა; დიმიტრის დიმიტრიადისი
- 2008: სტალინი, დისკუსია (ბერძნულ) თეატრზე; მ. მარმარინოსი და აკილას კარაზისისი
- 2009: წმინდანთა ცხოვრება; მ. მარმარინოსი
- 2009: აგორა
- 2009: აკროპოლისის რეკონსტრუქცია; ს. ვისპიანსკი (ვროცლავი)
- 2010: აკროპოლისის რეკონსტრუქცია (ათენი)
- 2011: ჰერკულესი; ევრიპიდე
- 2012: რომეო + ჯულიეტა, მესამე მეხსიერება (თბილისი)

მარმარინოსს მოსწონს თეატრის ყველანაირი სივრცის ათვისება და მაყურებლის ჩართვა ქმედებაში თეატრში შემოსვლისთანავე. ასე იყო მის პირველ ქართულ სპექტაკლში „მედეა, ორი წერტილი, მასალა“ (ჰ. მიულერი), როცა წარმოდგენის სანახავად მოსული მაყურებელი თეატრის კარებიდანვე, ჯერ კიდევ ძველი შესასვლელით, ერთვებოდა სასცენო ქმედებაში, დიდ გრძელ დერეფანს გაივლიდა, რომლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ბერძნული ქოროს და სპექტაკლის მონაწილენი იყვნენ ჩამწკრივებული და ჩურჩულით მედეას საბედისწერო ცხოვრებისა და „არგონავტების“ შესახებ გვიყვებოდნენ. ასევე იყო „ეროვნულ ჰიმნში“, სადაც მაყურებელი ერთ დიდ, გაშლილ ქართულ სუფრასთან სადილობდა მსახიობებთან ერთად. ასეა ახლაც. მაყურებელთა დარბაზის შესასვლელში ორ მაცნეს (გ. ნაკაშიძე, კ. კალატოზიშვილი) თავები მიუდიათ ერთმანეთისთვის და მათ შორის უნდა გაჭრა სივრცე და გაიარო, ძალაუნებურად ყური მიუგდო მათ ბაასს, შექსპირის „რომეო და ჟულიეტას“ ფრაგმენტს – „ნეტავ ერთი შენ რა სევდა გიგრძელებს წუთებს!“. მ. მარმარინოსის სპექტაკლები ყოველთვის თანამედროვეა, იმას ასახავს რაც დღეს საქართველოში ხდება.
– გიორგი ყაჯრიშვილი



**MICHAEL MARMARINOS** was born in Athens and has studied biology, acting and theatre direction.

In 1983-84, the "diplous Eros theatre ensemble" was founded, As an Actor, he has taken part in most of the diplous Eros theatre company presentations, and has played major parts under the direction of Roula Pateraki, Yannis Houvardas, Antonis Antipas, Ploutarhos Kaitatzis, Spiros Evangelatos, and others, in plays by Koltes, Euripides, Daggermann etc.

Michael Marmarinos returns to the Main Stage. The internationally lauded Greek director tackles the myth of the man who sold his soul to the Devil. With an exceptional cast and Akyllas Karazisis negotiating the labyrinth of Goethe's Faust, the innovative Greek director makes use of a host of other intertextual references as well as unexpected spaces to present a production whose descent into the darkest recesses of human Desire promises much.

Michael Marmarinos first visited the GIFT festival with Aeschylus' "Agamemnon". Later he staged three productions at the Tumanishvili Film Actors' Theatre in Tbilisi: "Medeamaterial" (by H. Müller), his own play "National Anthem" and "Romeo + Juliet, the Third Memory" (after W. Shakespeare).



მიხეილ მარმარინოსი
Michael Marmarinos

- 1987: STRINDBERG – STRINDBERG (the first warning), A. Strindberg (Athens)
- 1993: DIE HAMLETMASCHINE, H.Müller (National Theater of Northern Greece, Thessaloniki)
- 1993: MEDEA FRAGMENTS, Euripides (Brussels)
- 1994: CAMERA DEGLI SPOSI, G.Veltsos (Athens)
- 1996: FARSA KALLDEWEY, B.Strauss (Athens)
- 1997: ROMANTISM a performance by Michael Marmarinos (Athens)
- 1998: HAMLET- a snake's bite, W.Shakespeare (Athens, BITEF- Belgrad)
- 1998: HELEKTRA, Sophocles (Epidaurus, Thessaloniki, Dion, Philippi)
- 2000:AGAMEMNON, a ghost sonata, Aeschylus (Athens, Caracas, Zürich, Tbilisi)
- 2001:MEDEAMATERIAL, H.Müller (Tbilisi,Moscow)
- 2004: NATIONAL HYMN (a production of Tumanishvili Teatr, Tbilisi)
- 2004: ROMEO + JULIET, the Third Memory, W.Shakespeare (Athens)
- 2005: AGAMEMNON, Aeschylus (a production of Seoul Art Center, Seoul)
- 2007:WHO IS H. KELERMAN AND WHY IS HE SAYING THOSE TERRIBLE THINGS ABOUT ME? [A visit to Kafka's Castle] a performance by Michael Marmarinos (Athens)
- 2008: STALIN, a discussion on (Greek) Theater a performance by Michael Marmarinos in collaboration with Akylas Karazisis, (National Theater of Greece, Athens, "7th Politik im Freien Theater" Festival (ECHT!) Cologne)
- 2009: LIVES OF SAINTS a performance by Michael Marmarinos (Athens)
- 2009: AGORA – ein chorstasimon, (a production of VOLKSBÜHNE am Rosa-Luxemburg-Platz, Berlin)
- 2010:ACROPOLIS re-construction a production of Theseum Ensemble (Athens)
- 2011:HERCULES FURENS, Euripides (National Theatre, Epidaurus)
- 2012:ROMEO + JULIET, the Third Memory, W.Shakespeare (a production of Tumanishvili Teatr, Tbilisi)

Marmarinos likes to exploit all the possible spaces in the theatre, and he also tries to involve the spectators into the performance the moment they step over the threshold of the theatre. In his first Georgian production – "Medeamaterial" –he put the Greek choir and the rest of the ensemble along the left and the right walls of the long corridor leading to the hall. They were telling about the Argonauts and Medea's tragic story in whisper, and made audience hear its fragments while passing by. The same happened in "National Anthem" – the audience was put at a large Georgian dinner-table where they had their dinner together with the performing actors. The similar method is used in "Romeo + Juliet" – the audience has to pass between two messengers standing close together and hear them talking about those "star bound lovers". The performances staged by Marmarinos are always very close to the modern life in Georgia. – Giorgi Kajrishvili





**ქართული ეროვნული ბალეტი** დაარსდა 1945 წელს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის მიერ  განხორციელებული თანამედროვე რეფორმა „მოდერნ-ბალეტის“ პრინციპებს ექვემდებარება, თუმცა მისი არსით და პოეტიკით იგი ქართული ეროვნული ქორეოგრაფიაა და ანსამბლის დადგმული ცეკვები ქართულ ფოლკლორს ეფუძნება.

პირველი კონცერტი გაიმართა 1945 წლის  11 ივნისს,  1967 წელს ანსამბლმა კონცერტი ლა-სკალაში გამართა და პირველი და დღემდე ერთადერთი ფოლკლორული დასი გახდა, რომელიც ამ თეატრის სცენაზე გამოვიდა 1970 წელს ანსამბლს მიენიჭა „აკადემიურის“ სტატუსი.

ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო ანსამბლს განხორციელებული აქვს ორასზე მეტი ტურნე. მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 88 ქვეყანაში გამართული აქვს 19200-ზე მეტი წარმოდგენა.

1985 წლიდან ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო თენგიზ სუხიშვილი, 2007 წლიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია ილიკო სუხიშვილი-უმცროსი,  დირექტორი ნინო სუხიშვილი.

ქართული ცეკვები სრულდება ინდივიდუალურად, წყვილში და ჯგუფურად. თითოეული მოცეკვავე ცეკვის ზოგად სქემასა და მის ქორეოგრაფიული მონახაზს ემორჩილება, მაგრამ, ამავდროულად, არც ინდივიდუალურობას კარგავს, რადგანაც ეს ცეკვა პარტნიორების ურთიერთშეჯიბრსაც გულისხმობს საშემსრულებლო ცეცხლოვანებაში, გამძლეობაში, ცეკვის თამამ მანერასა და სიმარჯვეში.

ამ ცეკვებში ძალიან საინტერესოა ქალთა პარტიები. ისინი საოცრად გრაციოზული და მომხიბლავია კლასიკურ ბალეტთან შედარებით, რომელშიც ყველა გრძნობასა თუ ემოციას ტრადიციულად რომელიმე გარკვეული მოძრაობა ასახავს. ქართულ ცეკვებში ქალები ნაზად და მშვიდად მოძრაობენ, პატარა ნაბიჯებს დგამენ და თითქოს გედებივით დასრიალებენ.

ქალებს, შესრულების ორიგინალური ტექნიკით, არც მამაკაცები ჩამოუვარდებიან. მსოფლიოს ნებისმიერი სხვა მამაკაცი მოცეკვავეებისაგან განსხვავებით, ისინი ფეხის ცერებზე ცეკვავენ ყოველგვარი პუანტების გარეშე. ეს არის უკიდეგანო ენერგიის დემონსტრირება საოცარი ნახტომებითა და ჰაერში ბზრიალით, რომლებიც ისეთი სისწრაფითა და სიზუსტით სრულდება, რომლის მსგავსსაც სხვაგან ვერსად იხილავთ.

ბალეტი ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია ქართულ ცეკვაში. ამიტომ თითოეულ მოცეკვავეს აიძულებენ მისი ელემენტებიც აითვისოს.  ეს მათ იმ ელასტიურობას, მოქნილობასა და ელეგანტურობას მატებს, რომელიც ესოდენ ხიბლავს მაყურებელს მთელი კონცერტის განმავლობაში.











**THE GEORGIAN NATIONAL BALLET** was founded by Iliko Sukhishvili and Nino Ramishvili in 1945 and was initially named as The Georgian State Dance Company. It was the first professional state dance company in Georgia. After them many other companies were founded on their example.

Georgian dances are divided into solo, pair and group. Each dancer has to subordinate to the requirements of a common plan and its expression in the dance. At the same time the performers do not lose their individuality, since several dances demand competition between partners in strength, agility, elevation and bold movements.

The role of female dancers is an interesting one. It has a grace and charm of its own, comparable with classical ballet, where every emotion and feeling has its own traditional movement. They are tender and calm, they do small steps and give the impression of slipping.

The male dancers can also boast a highly original technique for, unlike any other dancers in the world, they dance on their toes and without the aid of "block" shoes. Unbelievable exhibition of virile energy – spectacular leaps and turns, incredible spins – performed with a speed and precision the like of which can hardly be imagined. They are the only men in the world who dance on their toes.

Ballet is one of the key elements to Georgian dance and each dancer is encouraged to go through training, as it gives them the flexibility and elegance that the audience perceives and enjoys during the show.



რიმას ტუმინასი
Rimas Tuminas

**რიმას ტუმინასი** რუსეთის სახელწიფო პრემიის ლაურეატი (1999)

1970-74 წწ. სწავლობდა ლიტვის სახელმწიფო კონსერვატორიაში, შემდგომ დაამთავრა თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი (ი. ტუმანოვის კლასი). სადებიუტო სპექტაკლი იყო ბ. რადიჩკოვის „იანვარი“ ლიტვის დრამის თეატრში, ხოლო მისი პირველი მოსკოვური სპექტაკლია ო. ზაგრადკინის „მელოდია ფარშევანგისთვის“ (1979) კ. სტანისლავსკის სახ. თეატრში.

1979-1990 წწ. ჯერ რეჟისორი, ხოლო 1994- 1999 წწ. ლიტვის ეროვნული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორია. 2007 წლიდან ვახტანგოვის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

## დადგმული სპექტაკლები:

- 1990 – ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“,
- 1991 – ბ. ბრეჰტის „გალილეი“,
- 1992 – ა. ჩეხოვის „ძია ვანია“,
- 1993 – ა. ჩეხოვის „თოლია“,
- 1994 – ჟ .ბ. მოლიერის „დონ-ჟუანი“,
- 1997 – მ. ლერმონტოვის „მასკარადი“,
- 1998 – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“,
- 1990 – უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“,
- 2000 – „ვთამაშობთ ... შილერს“ ფ. შილერის „მარიამ სტუარტის“ მიხედვით,
- 2002 – ნ. გოგოლის „რევიზორი“,
- 2005 – ა. ჩეხოვის „სამი და“,
- 2006 – ს. ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“,
- 2007 – ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“,
- 2009 – ა. ჩეხოვის „ძია ვანია“,
- 2010 – მ. ლერმონტოვის „მასკარადი“
- 2011 – „ნაპირი“ ბ. ბრეჰტის, ი. ბუნინის, ფ. დოსტოევსკის, ფ. დიურენმატის, ა. მილერის, ა. პუშკინის. ე. დე ფილიპოს და უ. შექსპირის ნაწარმოებებს მიხედვით
- 2013 – ა. პუშკინის „ევგენი ონეგინი“.

ზოგჯერ ჩეხოვის რიმას ტუმინასისეული პესონაჟები, ვიდრე რაიმეს იტყოდნენ ან რაიმეს ჩაიდენდნენ, წამიერად ყუჩდებია, თითქოს დარწმუნებულნი არ არიან, იმაში რაც მათ ახლა თავს გადახდებათ. ერთმანეთს აკვირდებიან, ვერ იჯერებენ ვინ დგას მათ წინაშე. ბატონმა ტუმინასმა „სხვადყოფნის“ (ჰეგელი) მრუდე სარკეთა იდუმალებაში „სოფლური ცხოვრების სცენები“ ასახა -ამიტომაც მისი სპექტაკლი ექსცენტრულად მოლუშული გამოვიდა. და მართლაც, აქ სცენაზე შემთხვევით სახლის მოჩვენებები ხომ არ დაიარებიან? ეს გამალიზაინებელი და საგანგაშო ატმოსფერო, შექმნილი ფაუსტას ლატენასის ცვალებადი და მრავალფეროვანი მუსიკის მეშვეობით, შეიძლება ჩაითვალოს ლიტველი რეჟისორის საფირმო ნიშნად. სიმართლე უნდა იქვას, რომ „ძია ვანიაში“ რეჟისორმა პერსონაჟებს ქცევების მოულოდნელი და ზუსტი დეტალები მოიგონა , რის გამოც რუსული პიესისადმი მისი არატრადიციული მიდგომა (რასაც მას „ვაი ჭკუისაგად“ და „რევიზორის“ დადგმისას უკიჟინებდნენ) სადღაც გაქრა, ან თავსმოხვეულად აღარ აღიქმება. მაგალითად, თუნდაც ყრუ-მუნჯი ეფიმი, რომელიც შესაძლებელია მთავარ მოქმედ გმირად ქცეულიყო, ამ სპექტაკლში იგი მხოლოდ პატარა „დეტალია“ . – რომან დოლჟანსკი, კინოკრიტიკოსი.

**RIMAS TUMINAS** is the Russian state prize-winner.

1970-74 he studied in Lithuanian state conservatory. Later on he graduated from state university of theatre (class of I. Tumanov). His debut was in the play by B. Radichkov – "January" at the Lithuanian Dramatic Theatre. His Moscow debut was the play by O. Zagradinsky "The melody for Peacock" (1979) at the K. Stanislavsky Theatre.

In 1979-1990 he appeared as a director and in 1994-1999 he became the senior director of Lithuanian Dramatic Theatre. Since 2007 he has been the art director of Vakhtangov state academy theatre:

## HIS WORKS ARE:

- 1990 – A. Chekhov, The Cherry Orchard
- 1991 – B. Brecht, Life of Galileo
- 1992 – A. Chekhov, Uncle Vanya
- 1993 – A. Chekhov, The Seagull
- 1994 – J. B. Molière , Dom Juan
- 1997 – M. Lermontov, Masquerade
